

## სკოპინგის დასკვნა N74

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** ნარჩენების აღდგენის (პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის გადამამუშავება) საწარმოს ექსპლუატაცია;

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „ვეისთ მენეჯმენტ ჯორჯია“ (ს/კ 405414608);

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. თბილისი;

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 18.11.2024;

**მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ:** ზურა ჩილინგარაშვილი.

### ძირითადი საპროექტო მონაცემები

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სააგენტოში შპს „ვეისთ მენეჯმენტ ჯორჯია“ მიერ, წარმოდგენილია ქ. თბილისში, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

2024 წლის 29 ოქტომბერს შპს „ვეისთ მენეჯმენტ ჯორჯიას“ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (N609/ს), რომლის საფუძველზეც საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ვეისთ მენეჯმენტ ჯორჯიას“ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს ქ. თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქ. N5-ში, შპს „ჯორჯია სთილ მილს ლიმიტედის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.16.002.005; ფართობი: 9603 მ<sup>2</sup>) განთავსებულ შენობა-ნაგებობის ნაწილში (205 მ<sup>2</sup>), რომელსაც კომპანია ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. იჯარით აღებული ფართის ნაწილი (115 მ<sup>2</sup>) გათვალისწინებულია ნარჩენების აღდგენის ხაზისთვის, ხოლო დანარჩენი (90 მ<sup>2</sup>) – ნედლეულისა და მიღებული პროდუქციის დასასაწყობებლად. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 58 მ, ხოლო უშუალოდ შენობა-ნაგებობიდან - დაახლოებით 130 მეტრით. საწარმოს ტერიტორიის სამხრეთით განთავსებულია შპს „გრინტექ გრუპის“ სახიფათო ნარჩენების (ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები) წინასწარი დამუშავების საწარმო, ხოლო აღმოსავლეთით შპს „ექსკლუზივის“ პოლიმერული ნაკეთობების საწარმო. საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით გადის საავტომობილო გზა, რომელიც უკავშირდება კახეთის გზატკეცილს.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია უმოქმედობის და საწარმოს განთავსების

ადგილმდებარეობის ალტერნატივები. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ალტერნატივების შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი და ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით.

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ, საწარმოს ტერიტორიის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია საწარმოში გამოსაყენებელი დანადგარები, რის შესახებაც შემდგომი რეაგირების მიზნით ეცნობა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ობიექტზე გათვალისწინებული ნარჩენების გადამუშავების ხაზი დაყოფილია ორ ნაწილად. პირველად ხაზზე (არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება) მოხდება პოლიპროპილენისა და პოლიეთილენის ნარჩენების რეცხვა და დამსხვრევა, ხოლო მეორად ხაზზე (ნარჩენების აღდგენა) – გრანულების წარმოება. საწარმო აღჭურვილია შემდეგი ტექნოლოგიური დანადგარებით: პირველი ხაზი - სამსხვრევ-დამაქუცმაცებლით, გამრეცხი დანადგარით, დეჰიდრატაციის დანადგარით (ნედლეულის გაუწყლოება/გაშრობა), ხოლო მეორადი ხაზი - სამსხვრევ-დამაქუცმაცებლით, ჰორიზონტალური წყალსაკრებით აღჭურვილი ერთმწეკიანი ექსტრუდერით, გრანულირების სისტემით და ელექტრული კონტროლის კაბინეტით. საწარმო მუშაობს წელიწადში 270 დღე, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით. საწარმოში დაგეგმილია წელიწადში 600 ტონა (277 კგ/სთ) ნედლეულის მიღება და გადამუშავება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმოში პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების (კოდები: 07 02 13 – პლასტმასის ნარჩენი; 15 01 02 – პლასტმასის შესაფუთი მასალა; 19 12 04 – პლასტმასი და რეზინი; 20 01 39 – პლასტმასი) შეტანა გათვალისწინებულია ძარაგადახურული ავტოტრანსპორტით, რომელიც მომარაგდება საქართველოში არსებული სხვადასხვა წარმოებებიდან. დაპრესილი და შეფუთული ნარჩენები დროებით თავსდება ნედლეულის საწყობში, საიდანაც მიეწოდება წინასწარი დამუშავების ხაზის მიმღებ ბუნკერს, ხოლო შემდგომ სამსხვრევ-დამაქუცმაცებელს, სასურველ ზომაზე დასაჭრელად. შემდეგ ხდება დამუშავებული/დაქუცმაცებული ნედლეულის გამრეცხ დანადგარში გარეცხვა/მყარი ნაწილაკების მოშორება და დეჰიდრატაციის დანადგარში გაშრობა, საიდანაც ჰაერის კომპრესორის მეშვეობით, ჩაიყრება ტომრებში (ე.წ. „ბიგ ბეგი“) და დროებით საწყობდება ნედლეულის საწყობში, გრანულირების ხაზზე შემდგომი გადამუშავების მიზნით.

გრანულირების ხაზის ტექნოლოგიური პროცესი იწყება ე.წ. „ბიგ ბეგიდან“ ნედლეულის საჭრელ კომპაქტორში ჩატვირთვით, სადაც ხდება მისი დაქუცმაცება და აგლომერაცია. აგლომერაციის შემდგომ დაქუცმაცებული ნედლეული, გათბობისა და პლასტიფიცირებისათვის, ხელით მიეწოდება ექსტრუდერს. ექსტრუდერიდან, მაღალი ტემპერატურის პირობებში ნედლეული გამოდის ე.წ. პლასტმასის ძაფების სახით, რომელიც თავსდება სპეციალურ რკინის კონსტრუქციაზე და გაციების შემდგომ მიეწოდება

გრანულატორს. მიღებული გრანულები იყრება ტომრებში და შემდგომ რეალიზაციამდე თავსდება მზა პროდუქციის საწყობში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის. საწარმოს წყლით მომარაგება გათვალისწინებულია ქ. თბილისის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. საწარმოო მიზნებისათვის წყალი გამოიყენება გრანულების გაციების და ნარჩენების გარეცხვისთვის, ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემით, კერძოდ, ტექნოლოგიურ პროცესში გამოიყენებული წყალი გროვდება სამსექციან ჰორიზონტალურ სალექარში (2X4X2 მ) და გაწმენდის შემდგომ (წყლის დაახლოებით 70%) ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში მოხდება pH-ის განსაზღვრა წყალში და ბოლო აუზში გამანეიტრალებელი ხსნარის გამოყენება. ხოლო 30% გამოსაყენებლად უვარგისი ტექნიკური წყლისგან მოხდება ლექის გამოყოფა. საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები დაკავშირებულია ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემასთან.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში წარმოიქმნება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სალექარში წყლის ბრუნვითი წყალმომარაგების დროს აკუმულირდება ნალექი, რომელიც შედგება არასახიფათო მინარევებისგან, როგორცაა მიწა, მტვერი, პლასტმასის ნაწილაკების მინარევი. ნალექი წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს, თუმცა საწარმოდან მისი გატანა დაგეგმილია ინსინერაციის მიზნით შესაბამისი კონტრაქტორის მიერ (ნარჩენის კოდი: 19 12 12 – „სხვა სახის ნარჩენები (მათ შორის ნარევები, მასალები) მექანიკური დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენებისგან, რომლებსაც არ ვხვდებით 19 12 11 პუნქტში). ნალექის მოცულობები დამოკიდებული იქნება გადასამუშავებელი ნედლეულის სისუფთავის ხარისხზე.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესს თან ახლავს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა. ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: პოლიმერული მტვერი, ნახშირჟანგი და ძმარმჟავა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები, როგორც სამუშაო მოედანზე, ისე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში კანონმდებლობით დადგენილ მაჩვენებლებს არ აღემატება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწარმოს ფუნქციონირება ასევე დაკავშირებულია ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებასთან, რომლის ძირითადი წყაროებია ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები და სატრანსპორტო საშუალებები. ანგარიშის

თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარები განთავსებულია დახურულ შენობაში, უახლოეს მოსახლესთან მიმართებაში, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, ხმაურის დონე არ გადააჭარბებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოპინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე, სადაც ცხოველთა ველური ბუნების სახეობების საბინადრო ჰაბიტატები წარმოდგენილი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქის გვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა სამგორის რაიონის გამგეობას და განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 9 დეკემბერს, სამგორის რაიონის გამგეობის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სამგორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, შპს „ვეისთ მენეჯმენტ ჯორჯიას“ კონსულტანტი და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვაზე ყურადღება გამახვილდა საწარმოს წარმადობასა და ნარჩენების მართვის საკითხებზე, რაზეც შესაბამისი განმარტებები გააკეთა კონსულტანტმა. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

**გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).
5. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
  - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
  - საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთის საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
  - დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
  - ინფორმაცია პროექტის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, მათ შორის არაქმედების ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები, ადგილმდებარეობის ალტერნატივები და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული ალტერნატივები;
  - საქმიანობის და საწარმოს ტექნოლოგიური სქემის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით (ნედლეულის მიღებიდან საბოლოო პროდუქტის დამზადების ჩათვლით). ასევე ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი დანადგარებისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის აღწერა, თითოეული საწარმოო ობიექტის/უბნის ტექნიკური პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით;
  - საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის სიტუაციური სქემა და გენერალური გეგმა შესაბამისი აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით, საპროექტო ობიექტების, ასევე

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის წარმომქმნელი წყაროების მითითებით;

- ინფორმაცია ტექნოლოგიური ხაზის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ტექნოლოგიური ხაზის წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საწარმოში მიღებული ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის რაოდენობების შესახებ (წლიური, დღეღამური და საათობრივი რაოდენობების მითითებით);
- დეტალური ინფორმაცია სასაწყობე ადგილების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია დასამუშავებლად მისაღები ნედლეულის, წარმოებული პროდუქციისა და სხვა თანმდევი პროდუქტების დასაწყობების ობიექტებისა და შენახვის პირობების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის წარმოშობის, რაოდენობის, ტიპის და დასახელების (კოდი) შესახებ;
- საწარმოს ტერიტორიის საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია მშრალ ამინდებში საპროექტო ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის საჭიროების (მორწყვის გეგმა-გრაფიკის მითითებით) შესახებ;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზებისა და მათი მდგომარეობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნედლეულის შემოტანისა და დამზადებული პროდუქციის გატანის პროცედურების/ტრანსპორტირების შესახებ, შესაბამისი სამომრავო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით) და ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შემთხვევაში ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);
- საწარმოს წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია (გამოსაყენებელი წყლის დღეღამური, თვიური და წლიური რაოდენობების მითითებით);
- დეტალური ინფორმაცია ჩამდინარე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო წყლების (დღეღამური, თვიური და წლიური რაოდენობების მითითებით), ასევე სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;

- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების, მათ შორის საჯარო განხილვებზე დაფიქსირებული საკითხების გათვალისწინების შესახებ;

**6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:**

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს:
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებების გაბნევის ანგარიში (გაბატონებული ქარების მიმართულებების გათვალისწინებით);
  - გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
  - ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობები, მავნე ნივთიერებათა გაბნევის, სხვა საწარმოების მიერ შექმნილი ფონური კონცენტრაციების და არსებული ან/და დასაპროექტებელი შენობა ნაგებობების და სხვა სახის დაწესებულებების ურთიერთგანლაგების გათვალისწინებით;
  - ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები, დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურობის დასაბუთებით;
  - „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის N413 დადგენილების შესაბამისად მონიტორინგის საკითხები;
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგის გეგმა. რომელშიც აისახება უახლოეს მოსახლესთან მონიტორინგის მეთოდი, სიხშირის/პერიოდულობა და სააგენტოში შედეგების წარმოდგენის საკითხი;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსში) არსებული და საპროექტო ობიექტების ფუნქციური სტატუსებისა და

წარმადობების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, ასევე კუმულაციური ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს და გზშ-ის ანგარიშში აისახოს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;

- ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები; იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია მცირე მანძილით, ხოლო მიმდებარედ ასევე ფუნქციონირებს სხვა საწარმოებიც, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ უნდა იქნას კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით.
  - ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
  - საწარმოს ტერიტორიის გეოლოგიური პირობების აღწერა და გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება;
  - ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
  - ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
  - მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
  - გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
  - ნარჩენების წარმოქმნით, გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ნარჩენების (კოდები, დასახლება, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ;
  - საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა;
  - გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
  - საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
  - საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
7. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:



- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით საწარმოს ტერიტორიაზე მოეწყობა სამსუქციანი ჰორიზონტალური სალექარი, რომელშიც აკუმულირდება ბრუნვითი წყალმომარაგების დროს ტექნიკურ წყალში არსებული შეწონილი ნაწილაკები ნალექის სახით. დოკუმენტში მითითებულია, რომ აღნიშნული ლექი არ წარმოადგენს სახიფათო ნარჩენს, თუმცა კომპანია გეგმავს საწარმოდან მის გატანას ინსინერაციის მიზნით. გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ლექის ინსინერაციის საკითხი, მათ შორის ინფორმაცია: წარმოქმნილი ლექის რაოდენობის, მისგან სალექარის გაწმენდის პერიოდულობის, დასაწყობების ტერიტორიის, პირობების, გაუწყლოების და საბოლოო მართვის ღონისძიებების შესახებ;
- გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ მოხდება pH-ის განსაზღვრა წყალში და ასევე, შესაძლებელია მოხდეს გამანეიტრალებელი ხსნარის გამოყენება ბოლო აუზში (საჭიროების შემთხვევაში). გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს, რის მიხედვით დგება წყალში pH-ის დონის განსაზღვრის საჭიროება და პერიოდულობა, ამასთან, არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლის შემთხვევაში შემდგომი მართვის საკითხი;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოში გამოყენებული 70% წყლის გაფილტვრა და დაბრუნება მოხდება ტექნოლოგიურ პროცესში, ხოლო 30% გამოსაყენებლად უვარგისი წყლისგან მოხდება ლექის გამოყოფა. დაზუსტებას საჭიროებს დარჩენილი 30% წყლის შემდგომი მართვის საკითხი;
- ზედაპირული წყლის ობიექტში წყლის ჩაშვების შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს შპს „ჯორჯია სთილ მილს ლიმიტედის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ნაწილში (205 მ<sup>2</sup>), რომელსაც კომპანია ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, მოცემული ინფორმაციის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამსუქციანი სალექარის (განთავსების მიახლოებითი GPS კოორდინატები - X-494044 Y-4615692) მოწყობის დროს ექსკავირებული გრუნტი განთავსდება თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე. გარდა ამისა, მოცემული **GPS კოორდინატების შესაბამისად, სალექარის განთავსება დაგეგმილია შენობის გარეთ**. ვინაიდან, ანგარიშის თანახმად, საწარმოს მოწყობა დაგეგმილია შენობა-ნაგებობაში, ამასთან თან ახლავს მხოლოდ ნაგებობაში განთავსებულ ფართზე აღებული იჯარის ხელშეკრულება, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მოწყობის ეტაპზე ექსკავირებული გრუნტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რაოდენობისა და მართვის საკითხების შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია შპს „ჯორჯია სთილ მილს ლიმიტედის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის

ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.16.002.005; ფართობი: 9603 მ<sup>2</sup>) განთავსებული სხვა ობიექტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში წლიურად დაგეგმილია 600 ტ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენის მიღება და გადამუშავება. გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს გადამუშავების შედეგად მიღებული ნედლეულის და ნარჩენების რაოდენობა;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოო დანადგარების ტექნიკური მონაცემების მიხედვით, მთლიანი საწარმოს ტექნოლოგიური ხაზის წარმადობა 600 ტონაა (საათში 277 კილოგრამი). ამასთან, 5.2.2.1 ქვეთავში მოცემული ინფორმაციის თანახმად, ძირითად გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენს 278 კგ/სთ წარმადობის პლასტმასის ნარჩენების დასაქუცმაცებელი, 278 კგ/სთ წარმადობის აგლომერატი და 278 კგ/სთ წარმადობის გრანულატორი. აღნიშნული ინფორმაცია კი არ შეესაბამება მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათებაში (ფორმა #1) წარმოდგენილ წარმადობებს (278 კგ/სთ წარმადობის დასაქუცმაცებელი, 278 კგ/სთ წარმადობის აგლომერატი და 57.813 კგ/სთ წარმადობის გრანულატორი). გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმებისა და მათი წარმადობების შესახებ (საათური, დღიური, წლიური), რაც შესაბამისობაში უნდა იყოს გაფრქვევის წყაროებში მოცემულ ინფორმაციასთან. გარდა ამისა, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს წარმადობა (მათ შორის თითოეული ტექნიკური ხაზის) და დანადგარ-მექანიზმების მუშაობის პერიოდულობის საკითხი;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მდებარეობს შპს „გრინტექ გრუპის“ და შპს „პოლიეთილენის“ ობიექტები. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრის რადიუსში ასევე მდებარეობს სხვადასხვა ობიექტები, მათ შორის: სს „ფი ეს სი ფროფერტი“, შპს „წუნდა“, შპს „კომპავა ჯორჯია“, შპს „R.I.G. GAS“ და სხვა. შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით). ამასთან, საწარმოს სიახლოვეს არსებული ობიექტები გათვალისწინებული უნდა იქნეს კუმულაციური ზემოქმედების შეფასების ნაწილში;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემული ჩანაწერი - „278 კგ/სთ წარმადობის პლასტმასის ნარჩენების დასაქუცმაცებელი **წისქვილი** - გაფრქვევის გ-1 წყარო“ საჭიროებს განმარტებას;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნის განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვეთავების მითითებით).

**დასკვნითი ნაწილი:**

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ვეისთ მენეჯმენტ ჯორჯია“ მიერ, წარმოდგენილ საქმიანობაზე, რომელიც ეხება ქ. თბილისში, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციას, სავალდებულოა გზმ-ის ანგარიშში მომზადდეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზმ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.